

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (2014 წლის ანგარიში)

სააგენტოს პრიორიტეტი 2014 წლებში ბექ-ოფისის მოწესრიგება და მისი გამართული ფუნქციონირება იყო. ამ მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, რომლის შედეგი პირდაპირ აისახა, როგორც მომხმარებელზე, ასევე ქვეყნის განვითარებაზე:

- მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კვლევის- “Doing Business 2015” მიხედვით, ბიზნესის დაწყების სიმარტივეთ საქართველომ მერვედან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, ქონების რეგისტრაციის სიმარტივეთ კი, კვლავ სტაბილურად ინარჩუნებს პირველ ადგილს.
- მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, 2,3 მლნ. აშშ დოლარის ფარგლებში, 11 სოფელში, პილოტპროექტის ფარგლებში, 48 000 სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განხორციელდება საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები.
- ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, გრანტის ფარგლებში მოხდება საქართველოს 1/3 ტერიტორიის (20000 კვ.კმ-ის) ორთოფოტო გამოსახულების შექმნა, რომელიც საკადასტრო რუკების, მიწათსარგებლობის დაგეგმარებისა და მიწის მართვისთვის გამოიყენება. პროექტის საერთო ღირებულება კი 1,7 მილიონი ევროა. აქედან ნორვეგიის მთავრობის გრანტი შეადგენს 1 400 000 ევროს, ხოლო სააგენტოს შენატანი - პროექტში 300 000 ევროს.
- შვედეთის განვითარების სააგენტოსთან შედგა წინასწარი შეთანხმება და ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. ლენდმატერიატის ჩართულობით მომზადდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბექ-ოფისის განვითარების ოთხწლიანი პროექტი. პროექტის ფარგლებში სააგენტო დაფინანსდება დაახლოებით 9 მლნ. ლარით.
- განხორციელდა უძრავ ქონებაზე 951 467 სარეგისტრაციო ტრანზაქცია.
- დარეგისტრირდა 91 383 ახალი ბიზნეს სუბიექტი.
- განხორციელდა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, მოძრავ და არამატერიალურ ქონებაზე უფლებების, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის 774 658 რეგისტრაცია.
- 18 რეგიონალურ ქალაქში დასრულდა უძრავი ქონების აღწერა/ინვენტარიზაცია. 315 975 ობიექტი
- Google Map-ზე დედაქალაქის 8 რაიონის მონაცემები სრულად განთავსდა.
- GoogleMap-ზე განთავსდა 200-მდე ქართული ძეგლი.
- მიმდინარეობს სააგენტოს არქივების ცენტრალიზება: აღიწერა და ფიზიკურად თბილისში გადმოვიდა 64 ტერიტორიული სამსახურის ტექნიკურის არქივი; ფიზიკურად თბილისში გადმოვიდა 23 რაიონის სარეგისტრაციო-სარქივო დოკუმენტაცია.
- სოფელ დიდ ლილოში ქალაქის დოკუმენტაციის უსაფრთხოდ შენახვისთვის თანამედროვე საცავი აშენდა, რომელშიც განთავსდება 100 000 ბაინდერი საარქივო დოკუმენტაცია. ახალ საცავში ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში არსებული ქალაქის დოკუმენტაცია სრულად განთავსდება.
- დასრულებულია 35-მდე სარეგისტრაციო სამსახურის ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების შექმნა- არქივირება: დაარქივდა 10 231 ბაინდერი; ელექტრონულ ფორმატში გადატანილია 7 397 ბაინდერი.
- სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO 27001 დანერგა, რომლის მიზანია სააგენტოს მიერ დამუშავებული ინფორმაციის არასათანადოდ გამოყენების რისკების შემცირება და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

- დასრულდა “ღრუბლოვან ტექნოლოგიაზე” მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის სერვერული მომსახურების მარტივად და სწრაფად მიწოდებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ხარჯებს და დააჩქარებს ქვეყანაში ელექტრონული სერვისების განვითარებას.
- GEO- CORS –ის სისტემის პროექტის ფარგლებში დასრულდა GPS სადგურების ქსელის გაფართოვება. დამონტაჟებულია 23 სადგური.
- პირიქითა ხევისურეთში 1200 კვ/მ ფართობზე ჩატარდა მიწის აზომვითი სამუშაოები და მომზადდა საკადასტრო რუკა, აღიწერა შენობა-ნაგებობები, ინფრასტრუქტურა, გზები, ჩატარდა სტერეოგადაღება.
- 8800 კმ² ფართობზე დასრულდა აეროგადაღებები.
- შეიქმნა ტოპოგრაფიული რუკების პირველი ქართული კლასიფიკატორი.
- ოკუპირებული ტერიტორიის გამყოფი ზოლის მიმდებარე არეალში უძრავ ქონებაზე უფლებების დადგენასთან დაკავშირებით განხორციელდა ცხინვალის რეგიონის სატელიტური კოსმოსური სურათების დამუშავება; ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ზოლის გასწვრივ განისაზღვრა კონკრეტული არეალი, გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებზე არსებული უფლებადამდგენი დოკუმენტაცია ელექტრონულ ფორმატში გადავიდა, შეიქმნა ელექტრონული სააღრიცხვო ბარათები, დადგინდა საკუთრების/სარგებლობის უფლებრივი მდგომარეობა, მესაკუთრეებთან/მოსარგებლებთან ერთად მოხდა საკუთრების უფლების აღრიცხვა).
- დასრულდა ქ. გორის ადმინისტრაციული საზღვრის თანამედროვე სტანდარტებით დადგენა.
- დაიწყო ეროვნული სივრცითი მონაცემების შექმნისა და განვითარების პროექტი (NSDI). საქართველო პირველი ქვეყანაა კავკასიის რეგიონში, რომელიც ევროპულ სტანდარტებთან თავსებადი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნაზე მუშაობს, რაც ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.
- ავტორიზებულ პირებთან გაფორმდა 325 ხელშეკრულება (მათ შორის ნოტარიუსები - 255, კომპანიები -50, ბანკი -20).
- ერთიანი სარეგისტრაციო პრაქტიკის ჩამოყალიბების, სიახლეთა იმპლიმენტაციისა და სისტემის ერთ სტანდარტზე გადასვლის მიზნით, სააგენტოში დაიწყო ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ცენტრალიზაცია.
- შეიქმნა ტოპოგრაფიული რუკების პირველი ქართული კლასიფიკატორი. ახალი სტანდარტით შექმნილი ქართული ციფრული ტოპოგრაფიული რუკა ქვეყანას სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო და სადემარკაციო სამუშაოების წარმოებაში, სამოქალაქო და სამხედრო ტიპის საინჟინრო ნაგებობათა დაგეგმარებაში, ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაში დაეხმარება.
- ქ. გორის ტერიტორიაზე მიმდინარეობს დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების ზუსტი იდენტიფიკაცია.
- 2014 წლის მარტიდან სააგენტომ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაცია.
- კვების პროდუქტების მწარმოებლებისა და დისტრიბუტორებისთვის ამოქმედდა ახალი ვებ-პორტალი, რომლის საშუალებით მეწარმეებს, რომელთა საქმიანობა სურსათის ან ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასა და რეალიზაციასთანაა დაკავშირებული, შესაძლებლობა ეძლევათ, ონლაინ შეცვალონ საწარმოს საქმიანობის შესახებ უკვე რეგისტრირებული ინფორმაცია. შედეგად, იქმნება სურსათის მწარმოებლებისა და

დისტრიბუტორების ერთიანი ბაზა, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ერთიანი სისტემის განსაზღვრასა და რისკის მართვას შეუწყობს ხელს.

- ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ქალაქიდან ციფრულ მატარებელზე გადავიდა. ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების რეესტრის შესახებ კი სააგენტოს ვებგვერდზე განთავსდა.
- დასრულდა ბალდათის სარეგისტრაციო ოფისის სარემონტო სამუშაოები. საჯარო რეესტრისა და სსგს თანამშრომლები მუშაობას გააგრძელებენ გარემონტებულ ოფისში. მოსახლეობა კი მომსახურებას კომფორტულ გარემოში მიიღებს.
- მიმდინარეობს ახალი პროექტი - „ინდივიდუალურ მეწარმეთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა სისტემატიზაცია და ელექტრონული არქივის შექმნა რეგიონების მასშტაბით“. პროექტის განხორციელების შედეგად, შეიქმნება მონაცემთა ერთიანი ბაზა და სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისი გახდება უფრო სწრაფი და ეფექტური, გამარტივდება საქმისწარმოება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო უწყებებსა და 7 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის ამოქმედება.
- მიმდინარეობს ძველი საკადასტრო მონაცემების ელექტრონიზაციის პროექტი, რომელსაც სააგენტო დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირებისა და ელექტრონული საკადასტრო რუკის სრულყოფის მიზნით ახორციელებს.
- 2014 წელიდან სააგენტომ მუნიციპალიტეტების რეესტრის წარმოება დაიწყო. სააგენტოს ვებგვერდზე უკვე განთავსებულია მონაცემები თითოეული მუნიციპალიტეტის შესახებ.
- 2014 წლიდან, რეგისტრაციის უკანონობის დადგენის შემთხვევაში, სააგენტო ბათილად ცნობს უკანონო რეგისტრაციას.
- სააგენტომ დაიწყო სადაო საკითხების უწყების შიგნით გადაწყვეტა. 100-ზე მეტი სადაო საკითხი ადმინისტრაციული წარმოებისა და სასამართლო დავის გარეშე გადაწყდა.
- მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაინერგა ადგილზე დათვალიერების პრაქტიკა.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები მთავრობის ახალ ინიციატივას „სოლიდარობის ფონდს“ შეუერთდნენ. აქციაში 800-მდე თანამშრომელი უკვე ჩაერთო. ფონდში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სახელით ყოველწლიურად 24 000-მდე ლარი გადაირიცხება.
- წლის განმავლობაში სააგენტოს თანამშრომელთა ინიციატივით და მათი ფინანსური მხარდაჭერით ჩატარა არაერთი სპორტული, საქველმოქმედო, გარემოსდაცვითი და კორპორატიული ღონისძიება.